

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2013 წლის 21 ნოემბერი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მოიცავს: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო მოცულობის გადიდებას 310.1 ათასი ლარით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესაბამისი თანხის გამოყოფის საფუძველზე ასევე ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს და დამატებებს ცალკეული მხარჯავი სუბიექტების, ღონისძიებათა და პროექტების მიხედვით არსებული ასიგნების ფარგლებში.

ზემოთ ხსენებული ცვლილებების გათვალისწინებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №43 დადგენილებაში (სსმ 09.01.2013 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016103) შეტანილ იქნეს ცვლილება, ბიუჯეტის საერთო მოცულობა გაიზარდოს 310.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 35339,0 ათასი ლარის ფარგლებში თანახმად დანართისა.

მუხლი 2

გადიდდეს გზების შეკეთება რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხები 240,0 ათასი ლარით, რაც შეადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1112 განკარგულებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით ზუგდიდში შ. ხუბულავას ქუჩის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტის თანადაფინანსებისათვის გამოყოფილ თანხას /კოდი 030101/.

მუხლი 3

გადიდდეს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხა 70.0 ათასი ლარით, რაც შეადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის №1234 განკარგულებით გამოყოფილ თანხას. /კოდი 0315/;

მუხლი 4

შევიდეს შიდა ცვლილება დამტკიცებულ ბიუჯეტში, კონკრეტულად:

1. შემცირდეს თანხები სულ 655.0 ათასი ლარის ოდენობით მათ შორის:

- ა) 110.0 ათასი ლარით - სარეზერვო ფონდი /კოდი 0104/;
- ბ) 90.0 ათასი ლარით - საგანგებო სიტუაციების სამსახურის ასიგნება /კოდი 0201 /
- გ) 49.0 ათასი ლარით - ხიდების მშენებლობის რეაბილიტაციის თანხა /კოდი 030102/
- დ) 45.0 ათასი ლარით - გზების შეკეთების სამუშაოები /კოდი 030101/
- ე) 48.0 ათასი ლარით - გამწვანების თანხები /კოდი 030304/
- ვ) 30.0 ათასი ლარით - კულტურული ღონისძიებების ხარჯები /კოდი 050205/
- ზ) 25.0 ათასი ლარით - საინფორმაციო საგამომცემლო საქმიანობის ხარჯები /კოდი 050206/
- თ) 53.0 ათასი ლარით - მოხმარებული ელექტროენერგიის თანხები /კოდი 030201/
- ი) 50.0 ათასი ლარით - ეზოების კეთილმოწყობის ხარჯები /კოდი 030301/
- კ) 8.0 ათასი ლარით - ძეგლთა დაცვის ხარჯები /კოდი 050201/
- ლ) 8.0 ათასი ლარით - სახაზინო, აუდიტის მომსახურების ხარჯები /კოდი 0110/
- მ) 7.0 ათასი ლარით - საკადასტრო ნახაზების ხარჯები /კოდი 030208/
- ნ) 12.0 ათასი ლარით - შეღავათიანი ტრანსპორტით მგზავრობის თანხები /კოდი 060308/
- ო) 120.0 ათასი ლარით - სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია /კოდი 0105/

2. ზემოხსენებული შემცირების ხარჯზე გადიდდეს ასიგნების ნაწილი 655.0 ათასი ლარით მათ შორის:

- ა) 74.0 ათასი ლარით - სკოლამდელი დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამა /კოდი 0401/
- ბ) 4.6 ათასი ლარით - თეატრის სუბსიდირება /კოდი 050207/



- გ) 200.0 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების“ სუბსიდირება /კოდი 030302/
- დ) 130.0 ათასი ლარით - შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“-ს ფინანსური ხელშეწყობა /კოდი 050103/
- ე) 90.0 ათასი ლარით - მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯების /კოდი 0102/
- ვ) 17.0 ათასი ლარით - საკრებულოს შესანახი ხარჯები /კოდი 0102/
- ზ) 2.5 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სუბსიდირება /კოდი 0601/
- თ) 3.0 ათასი ლარით - სამოყვარულო თეატრი ჩხორიას სუბსიდირება /კოდი-050207/
- ი) 5.0 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის № 2 სამუსიკო სკოლის არაფინანსური აქტივები /კოდი050202/
- კ) 3.9 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ სუბსიდირება /კოდი0403/
- ლ) 15.0 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. „ახალგაზრდობისა და ფეხბურთის განვითარების ცენტრის“ სუბსიდირება /კოდი 050103/
- მ) 8.0 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მუზეუმების ცენტრის“ სუბსიდირება /კოდი050201/
- ნ) 2.0 ათასი ლარით - ზედაეწერის კოლეჯის ფინანსური ხელშეწყობა /კოდი0404/
- ო) 100.0 ათასი ლარით - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრის“ სუბსიდირება /კოდი03030/

მუხლი 5

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და სარევიზიო კომისიებს (ბ. გაბუნია, გ. თოლორაია) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს /ე.თოლორაია/;

მუხლი 6

დადგენილება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

მუხლი 7

დაევალოს საკრებულოს აპარატს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით დადგენილების რეგისტრაცია და გამოქვეყნება;

მუხლი 8

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან კონჯარია

დანართი №1

თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	39,099.1	29,413.3	8,314.3	21,099.0	32,700.4	12,708.7	19,991.7
გადასახადები	2,167.7	1,974.4	0.0	1,974.4	2,240.0	0.0	2,240.0



გრანტები	32,764.9	24,715.7	8,314.3	16,401.4	27,907.4	12,708.7	15,198.7
სხვა შემოსავლები	4,166.5	2,723.2	0.0	2,723.2	2,553.0	0.0	2,553.0
ხარჯები	27,464.9	20,511.2	585.1	19,926.1	17,405.1	805.4	16,599.7
შრომის ანაზღაურება	2,077.3	2,567.5	0.0	2,567.5	4,398.5	0.0	4,398.5
საქონელი და მომსახურება	2,265.4	3,056.6	468.1	2,588.5	3126.4	430.0	2696.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	19,822.6	8,464.0	0.0	8,464.0	8232.8	144.0	8088.8
გრანტები	2,000.0	4,860.0	0.0	4,860.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	704.3	993.4	19.8	973.6	1,197.0	0.0	1,197.0
სხვა ხარჯები	595.3	569.7	97.2	472.5	450.4	231.4	219.0
საოპერაციო სალდო	11,634.2	8,902.1	7,729.2	1,172.9	15,295.3	11,903.3	3,392.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,077.9	11,528.0	9,578.0	1,950.0	15,096.6	12,428.3	2,668.3
ზრდა	6,583.9	11,809.5	9,578.0	2,231.5	15,341.6	12,428.3	2,913.3
კლება	506.0	281.5	0.0	281.5	245.0	0.0	245.0
მთლიანი სალდო	5,556.3	-2,625.9	-1,848.8	-777.1	198.7	-525.0	723.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	5,130.3	-3,819.8	-1,848.8	-1,971.0	-2,393.6	-1,545.9	-847.7
ზრდა	5,130.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5,130.3	0.0			0.0		
კლება	0.0	3819.8	1848.8	1971.0	2,393.6	1,545.9	847.7
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	3819.8	1848.8	1971.0	2,393.6	1,545.9	847.7
	0.0						
ვალდებულებების ცვლილება	-426.0	-1,193.9	0.0	-1,193.9	-2,592.3	-1,020.9	-1,571.4
ზრდა	500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



კლება	926.0	1,193.9	0.0	1,193.9	2,592.3	1,020.9	1,571.4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	1,193.9	0.0	1,193.9	2,592.3	1,020.9	1,571.4
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	0.000	0.000			85.9	85.9	

მუხლი 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	40,105.1	29,694.8	8,314.3	21,380.5	32,945.4	12,708.7	20,236.7
შემოსავლები	39,099.1	29,413.3	8,314.3	21,099.0	32,700.4	12,708.7	19,991.7
არაფინანსური აქტივების კლება	506.0	281.5	0.0	281.5	245.0	0.0	245.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	34,974.8	33,514.6	10,163.1	23,351.5	35,339.0	14,254.6	21,084.4
ხარჯები	27,464.9	20,511.2	585.1	19,926.1	17,405.1	805.4	16,599.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,583.9	11,809.5	9,578.0	2,231.5	15,341.6	12,428.3	2,913.3
ვალდებულებების კლება	926.0	1,193.9	0.0	1,193.9	2,592.3	1,020.9	1,571.4
ნაშთის ცვლილება	5130.3	-3819.8	-1848.8	-1971.0	-2393.6	-1545.9	-847.7



მუხლი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 32700.4 ათ ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის	საკუთარი შემოსავლები
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსავლები	39,099.1	29413.3	8314.3	21099.0	32,700.4	12,708.7	19,991.7
გადასახადები	2,167.7	1974.4	0.0	1974.4	2,240.0	0.0	2,240.0
გრანტები	32,764.9	24,715.7	8314.3	16401.4	27,907.4	12,708.7	15,198.7
სხვა შემოსავლები	4,166.5	2723.2	0.0	2723.2	2,553.0	0.0	2,553.0

მუხლი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2240.0 ათ ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის	საკუთარი შემოსავლები
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
გადასახადები	2167.7	1975.7	0	1974.4	2240.0	0	2240.0
ქონების გადასახადი	2,167.7	1974.4	0	1974.4	2240.0	0	2240.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,009.3	1170.7	0	1170.7	1,100.0	0	1100.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	110.0	67.2	0	67.2	110.0	0	110.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	376.9	378.9	0	378.9	370.0	0	370.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	671.5	357.6	0	357.6	660.0	0	660.0

მუხლი 5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 27907.4 ათ ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------



დასახელება	2011 წლის ფაქტი	მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	32,764.9	24,715.7	8314.3	16401.4	27,907.4	12,708.7	15,198.7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	32,764.9	24,715.7	8314.3	16401.4	27,907.4	12,708.7	15,198.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	10,084.2	16,681.4	280.0	16401.4	15,198.7	0.0	15,198.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	9,834.2	16,401.4		16,401.4	14,902.0		14,902.0
მიზნობრივი ტრანსფერი							
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	250.0	280.0	280.0		296.7		296.7
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	22,680.7	8,034.3	8,034.3	0.0	12,708.7	12,708.7	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება (155 განკარგულება)	2,500.0	4,876.0	4,876.0		10,904.3	10,904.3	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,362.5	1,802.3	1,802.3		1,804.4	1,804.4	
მთავრობის და პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხები		1356.0	1356.0				

მუხლი 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2553,0 ათ ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	4,166.5	2723.2	0	2723.2	2,553.0	0.0	2,553.0
შემოსავლები საკუთრებიდან	121.4	532.2	0	532.2	345.0	0.0	345.0
პროცენტები		362.0	0	362.0	200.0		200.0
დივიდენდები		0.0	0.0				
რენტა	121.4	170.2	0	170.2	145.0		145.0



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით	100.6	165.9	0	165.9	140.0		140.0
სარგებლობისათვის							
მიწის იჯარა	20.8	4.3	0	4.3	5.0		5.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	830.9	1215.8	0	1215.8	1,042.0	0	1,042.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	821.6	1208.8	0	1208.8	1,032.0	0	1,032.0
სანებართვო მოსაკრებელი		138.3	0	138.3	100.0	0	100.0
სახელმწიფო ბაჟი		0.0	0.0			0.0	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0.8	0	0.8	2.0	0	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	544.5	755.5	0	755.5	600.0	0	600.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	216.7	314.2	0	314.2	330.0	0	330.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	60.4		0		0	0.0	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9.3	7.0	0	7.0	10.0	0	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	9.3	7.0	0	7.0	10.0	0	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	991.5	604.6	0	604.6	1,160.0		1,160.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	2,200.0	370.0	0	370.0	0	0.0	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული	22.7	0.6	0	0.6	6.0	0	6.0

მუხლი 7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 17405.1 ათ ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

		2012 წლის ფაქტი		2013 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	
2011 წლის					



დასახელება	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	27,464.9	20,511.2	585.1	19,926.1	17,405.1	805.4	16,599.7
შრომის ანაზღაურება	2,077.3	2,567.5	0.0	2,567.5	4,398.5	0.0	4,398.5
საქონელი და მომსახურება	2,265.4	3,056.6	468.1	2,588.5	3118.4	430.0	2688.4
სუბსიდიები	19,822.6	8,464.0	0.0	8,464.0	8232.8	144.0	8088.8
გრანტები	2,000.0	4,860.0	0.0	4,860.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	704.3	993.4	19.8	973.6	1,197.0	0.0	1,197.0
სხვა ხარჯები	595.3	569.7	97.2	472.5	458.4	231.4	227.0

მუხლი 8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15341,6 ათ ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	6,583.9	11,809.5	9,578.0	2,231.5	15,341.6	12,428.3	2,913.3
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	477.6	490.1	0.0	490.1	94.5	0.0	94.5
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,251.6	1,884.7	1,285.0	599.7	614.3	0.0	614.3
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,708.8	8,908.2	7,879.0	1,029.2	13,930.4	12,428.3	1,502.1
განათლება	86.1	91.6	0.0	91.6	105.0	0.0	105.0
კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	59.8	434.9	414.0	20.9	597.4	0.0	597.4

მუხლი 9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაცია

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული



რედაქციით:

	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,726.9	8,239.3	8.8	8,230.5	4,320.0	0.0	4,320.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,693.0	3,298.9	8.8	3,290.1	4,285.0	0.0	4,285.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,677.0	3,193.4	8.8	3,184.6	4,084.0	0.0	4,084.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	16.0	105.5	0.0	105.5	201.0	0.0	201.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	7.8	5.7	0.0	5.7	10.0	0.0	10.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	7.8	5.7	0.0	5.7	10.0	0.0	10.0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	2,000.0	4,860.0	0.0	4,860.0	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	26.1	74.7	0.0	74.7	25.0	0.0	25.0
702	თავდაცვა	135.4	204.1	0.0	204.1	220.0	0.0	220.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,458.7	3,129.6	1,285.0	1,844.6	2,085.0	0.0	2,085.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	454.7	490.7	0.0	490.7	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	2,004.0	2,638.9	1,285.0	1,353.9	2,085.0	0.0	2,085.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	20,055.6	10,582.8	6,739.1	3,843.7	13,100.6	11,175.3	1,925.3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	70.0	26.9	0.0	26.9	67.0	0.0	67.0
70421	სოფლის მეურნეობა	70.0	26.9	0.0	26.9	67.0	0.0	67.0
7045	ტრანსპორტი	1,431.3	2,503.7	2,294.0	209.7	6,088.6	5,727.6	361.0



70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,431.3	2,503.7	2,294.0	209.7	6,088.6	5,727.6	361.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	18,554.3	8,052.2	4,445.1	3,607.1	6,945.0	5,447.7	1,497.3
705	გარემოს დაცვა	1,808.8	1,837.9	227.8	1,610.1	2,570.0	600.0	1,970.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,396.9	1,635.4	140.4	1,495.0	2,370.0	600.0	1,770.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	411.9	202.5	87.4	115.1	200.0	0.0	200.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,231.7	2,398.1	1,428.6	969.5	2,790.4	1,314.4	1,476.0
7061	ბინათმშენებლობა	77.3	348.1	348.1	0.0	331.4	231.4	100.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	228.8	162.5	162.5	0.0	1,083.0	1,083.0	0.0
7064	გარე განათება	843.0	1,805.9	918.0	887.9	1,247.0	0.0	1,247.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	82.6	81.6	0.0	81.6	129.0	0.0	129.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	119.4	125.0	0.0	125.0	172.5	0.0	172.5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	119.4	125.0	0.0	125.0	172.5	0.0	172.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,053.1	3,461.3	454.0	3,007.3	4,116.1	0.0	4,116.1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	622.8	1,677.8	149.0	1,528.8	1,915.0	0.0	1,915.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,364.2	1,398.4	0.0	1,398.4	1,931.1	0.0	1,931.1
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამოცემლო საქმიანობა	7.8	53.8	40.0	13.8	15.0	0.0	15.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	58.3	58.3	0.0	58.3	55.0	0.0	55.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	273.0	265.0	8.0	200.0	0.0	200.0
709	განათლება	1,334.3	1,474.2	0.0	1,474.2	2,309.6	144.0	2,165.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,065.8	1,184.0	0.0	1,184.0	1,898.0	144.0	1,754.0
7092	ზოგადი განათლება	99.5	83.9	0.0	83.9	120.0	0.0	120.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	99.5	83.9	0.0	83.9	120.0	0.0	120.0



7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	169.0	206.3	0.0	206.3	291.6	0.0	291.6
710	სოციალური დაცვა	584.9	868.4	19.8	848.6	1,036.5	0.0	1,036.5
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	208.1	137.8	0.0	137.8	162.0	0.0	162.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	73.8	74.7	0.0	74.7	80.0	0.0	80.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	134.3	63.1	0.0	63.1	82.0	0.0	82.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8.5	8.0	0.0	8.0	10.0	0.0	10.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	34.5	33.7	0.0	33.7	40.0	0.0	40.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.3	198.9	0.0	198.9	268.0	0.0	268.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	231.5	490.0	19.8	470.2	556.5	0.0	556.5
	სულ	34,508.8	32,320.7	10,163.1	22,157.6	32,720.7	13,233.7	19,487.0

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. 2462.0 ათასი ლარი - თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 0200)

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის საზოგად-ოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მუნიციპალიტეტში, თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობის შესაბამისი კვალიფიკაციით დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. მომუშავე პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის,კონკრეტულად ახალი შენობის მშენებლობა.

1.1. 2242,0 ათასი ლარი - საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 0201)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო-საავარიო ტექნიკის სრულყოფა, ხანძრების შედეგად მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლის მაქსიმალურად გაზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარება,პირადი შემადგენლობის მუშაკების კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლების დაცვა.

1.2. 220.0,0 ათასი ლარი - ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0203)



პროგრამა ახორციელებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას, მათი სამედიცინო შემოწმებას და გაწვევის ტრანსპორტირებას.

2. 19768.6 ათასი ლარი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 0300)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი სახლების, ეზოების, დასასვენებელი პარკების, სკვერების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

2.1.1. 6051.1 ათასი ლარი - გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 030101)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მოვლა-შენახვა, შიდა მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. ასფალტო-ბეტონის საფარის ორმული შეკეთება, გადაგება ახალი გზების გაყვანა, გრუნტიანი გზების მოხრეშვა, ბეტონის საფარის დაგება რეაბილიტაცია გათვალისწინებულია ა.ხელაიას, ბ.ჯანაშიას, ბარამიას, ბენდელიანის, გორკის, დუტუ მეგრელის, ეგრისის, თავისუფლების, თამარ მეფის, კ.გამსახურდიას, ლევან მეორე დადიანის, ლეონიძის, მესხიას, მეუნარგიას, ნინოშვილის, პუშკინის, სამეგრელოს პირველი შესახვევი, სამეგრელოს, სართანიას, სიმონ ჯანაშიას, შარტავას, ცაბიძის და ჭანტურიას ქუჩის და კომბინატის დასახლებაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში ბარათაშვილის ქუჩის ასფალტობეტონის საფარის რეაბილიტაცია.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან ლევან მეორე დადიანის, ლეონიძის, მესხიას, პუშკინის, ცაბიძის და სხვა ქუჩების რეაბილიტაცია.

.საქართველოს მთავრობის 2013 წლის №311 განკარგულების შესაბამისად ინგირის რკინიგზის სადგურის მისასვლელი გზისა და წინამდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია, კოლხიდიდან ახალსოფლის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია, კოკის თემში კოკის ხურჩის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ს.ურთის საავტომობილო გზის და ს.ცაიშში ეკლესიის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და სოფელ ოდიშის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, ასევე გზების რეაბილიტაცია ქალაქის სხვა და სხვა ქუჩებში.

2.1. 549.3 ათასი ლარი - ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 030102)

პროგრამა ითვალისწინებს დაზიანებული ხიდების რეაბილიტაციას, მონოლითური ხიდ-ბოგირების მშენებლობას, ახალი კაპიტალური ხიდების მშენებლობას, მოაჯირების რეაბილიტაციას, სავალი ნაწილის რეაბილიტაციას. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშში სახასიო-საკიკალიშვილოს უბნების დამაკავშირებელი სამანქანო ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მოსაშვილის ქუჩაზე არსებული ფეხით სავალი, ასევე ბერიას, რიგის, ფიფიას ქუჩებზე, სოფელ ჯიხაშკარში და სხვა ხიდების რეაბილიტაცია.

2.1.3. 1268.1 ათასი ლარი - გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განათების ქსელის გაფართოება, გრიშაშვილის, ჩოდრიშვილის, კიკვიძის, სააკაძის, ბათუმის ქუჩების, ბათუმის ჩიხის, ლაზის ქუჩის დასაწყისის, ხუბულავას 1-ჩიხისა და ხუბულავას № 8 სახლის ეზოს გარე განათების მოწყობა. ასევე, ქირიას ქუჩაზე მე-11 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სოციალური საცხოვრისისა



და ზ კორპუსების ეზოსა და მისასვლელი გზის, შევჩენვოს და რიგის ქუჩის, რუსთაველის ქუჩის მე-3 შესახვევის მონაკვეთის სოსელიას ქუჩამდე, ს.გოროზიას ქუჩისა და ს.გოროზიას ქუჩის 1 შესახვევის, ბარნოვის ქუჩისა და კრილოვის ქუჩის გარე განათების მოწყობა. ზუგდიდის ქალაქის ლომოურის ქუჩაზე არსებული გარე განათების გაგრძელება, სოფელ ინგირიდან არსებული გარე განათების გაგრძელება სოფელ კახათამდე და ახალსოფლის ცენტრისა და კოლხიდის გზის გარე განათება. თეთრი გიორგის ქუჩისა და თეთრი გიორგის ქუჩის შესახვევის, სანკტ-პეტერბურგის, ერევნის, ი.ქ.კ გორგასლის, ი.ქ.კ(სოფ. ინგირი) სააკაძის, დავით ჯიქიას(სანაპიროს) ქუჩების გარე განათების პროექტირება. ლომოურის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის გარე განათების პროექტირება.

აგრეთვე, განხორციელდეს სოფელ ყულიშკარის ცენტრიდან ეკლესიამდე, ტაბიძის ქუჩის, სოფელ ახალსოფელში დევნილთა დასახლებაში, შოთა დარასელიას, ქირიას ქუჩის ბოლო მონაკვეთი და გოჩა ჯიქიას ქუჩების, თბილისის ქუჩის ჩიხის გარე განათების სამუშაოები.

2.2.1. 1740.0 ათასი ლარი - დასუფთავების ღონისძიებები ა.ა.ი.პ „ზუგდიდდასუფთავების“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030202)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 40 ჰექტარამდე ფართის დაგვა-დასუფთავების და 130-150 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებელის ბუნკერებიდან, კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, მაწანწალა ცხოველების დაჭერა და გადაყვანა სპეციალურ თავშესაფარში.

2.2.2. 891.2 ათასი ლარი- წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია(პროგრამული კოდი 030203)

პროგრამით გათვალისწინებულია

საქართველოს მთავრობის 2013წლის №988 განკარგულების შესაბამისად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია შემდეგ სოფლებში:სოფელ ყულიშკარში, აბასთუმნის თემში, ახალსოფლის თემში საჯიქიოს უბანში, ახალსოფლის თემის კოლხიდის უბანში, ს.გრიგოლიშვი, ს.კორცხელის ბაში სახვიტიოს უბანში, ბაში სალაშხიოს უბანში,ს.კორცხელის საქობალიოს უბანში,ს.კორცხელის ბაშის საქობალიოს უბანში,ს.კორცხელის ბაშის საბერანძოს უბანში, ს.ჭკადუაშსა და ს. რიყეში.

2.2.3 .112.3 ათასი ლარი - ლიფტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 030205)

ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი კომფორტული ლიფტების შეძენა-მონტაჟი,ქალაქის მრავალსართულიანი ბინების სამგზავრო ლიფტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, ავარიული ლიფტების საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ექსპერტიზა, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებულია მაღალსარ-თულიანი ბინების მიხედვით. ცოტნე დადიანის ქუჩა N2, N4 და N 6 მრავალსართულიან სახლებში.

2.2.4. 231,4 ათასი ლარი- ქ.ზუგდიდში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია(პროგრამული კოდი030206)

საქართველოს მთავრობის 2013წლის №988 განკარგულების შესაბამისად

პროგრამა ითვალისწინებს ჯანაშიას ქუჩა №14, №15, №16; ჭავჭავაძის ქუჩა № 16, ქუჯის ქუჩა №6, აღმაშენებლის ქუჩა №87 და თბილისის ქუჩა №2-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.

2.2.5. 129,0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა ა.ა.ი.პ.,სასაფლაოების მართვის ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030207)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, შემოკაპების სამუშაოების, გადაბირებული ხეების მოჭრას და გადაცემას



სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. საფლავების აღრიცხვა-განკარგვაში წესრიგის დამყარებას.

2.2.6. 3,0 ათასი ლარი - არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 030208)

ქალაქის დაგეგმარების და პრესპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად განხორციელდება არასასოფლო მიწების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზების მომზადება.

2.2.7. 600,0 ათასი ლარი- ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 030209)

საქართველოს მთავრობის 2013 წლის №311 განკარგულების (შესული ცვლილებით) შესაბამისად სპეცტექნიკის (ტრაქტორები და გრეიდერები) შესაძენად.

2.3.1. 192.4 ათასი ლარი - მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 030301)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა. ავტოსადგომის, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობის, გამწვანების სამუშაოები, ბავშვთა სათამაშო მოედნების, განათებისა და დეკორატიული ღობის მოწყობა. გათვალისწინებულია რუსთაველის ქუჩა N90-ის ეზოს მოწყობის კაპიტალური სამუშაოები.

ზუგდიდში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე №4 და №6 მაღალსართულიან სახლებს შორის განთავსებულ ბავშვთა სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია და მწვანე ნარგავების დრენაჟის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. აგრეთვე ერისთავის ქუჩა №1-ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და სამუშაოების განხორციელება.

2.3.2. 1165.0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ა.ა.ი.პ „კეთილმოწყობის ცენტრი“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 030303)

აღნიშნული ცენტრის ფუნქციები და დანიშნულებაა ზრუნვა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის მოვლა-შენახვის სამუშაოების ჩატარება, ქალაქის მწვანე ნარგავების, პარკების, სკვერების და რაბატების მოვლა-შენახვა, სანიღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება. მიმდინარე მოვლითი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბეღვა და ახლის დარგვა, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების დამზადება-მოწყობა და აღდგენითი პროფილაქტიკური სამუშაოების შესრულება. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის კეთილმოწყობა, ერისთავის ქუჩა №3-ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას.

2.3.3. 52.0 ათასი ლარი - ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა, სკვერების, ბულვარის და ქუჩების გამწვანების სამუშაოები (პროგრამული კოდი 030304)

პროგრამა ითვალისწინებს ახალი ნარგავების, ხეებისა, მცენარეების და ყვავილების შესყიდვას და დარგვას, მათ მოვლა-შენახვას.

2.3.4. 67,0 ათასი ლარი - ადგილობრივი ტყეების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 0304)

პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, ადგილობრივი ტყეების დაცვის ღონისძიებანი, სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფა, უკანონო ჭრების შემცირება-აღკვეთა. ბოტანიკური ბაღის მუნიციპალიტეტზე გადმოცემასთან დაკავშირებით მოვლა-შენახვის სამუშაოები

2.3.5. 177.1 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 0305)



პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაციის განხორციელება, ახალი წყალსაწრეტების გაკეთება, ქალაქის სავალი გზების და მოსახლეობის ეზოების დაცვა წვიმიან ამინდში ჭარბი წყლის დაგროვებიდან. სანიაღვრეების რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია ფიფიას, კრილოვის, პუშკინის, შარტავს, ბაკურიანის, ქუთაისის, პეტრე უბერის, თამარ მეფის,მესხიას ქუჩის მონაკვეთის ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია.

ბარნოვის ქუჩის საწყისი ნაწილის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა, კლდისვილის ქუჩის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა, თაბუკაშვილის ქუჩის №3 კორპუსის უკანა ეზოს სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ასევე დავიდ ჯიქიას ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა პროექტირება.დავით ჯიქიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია პროექტირება.

2.3.6. 199,3 ათასი ლარი– სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა–რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 0306)

საქართველოს მთავრობის 2013წლის №311განკარგულების შესაბამისად ს.დარჩელში, ნარაზენის თემის მდინარე ჭანისწყალზე, ოდიშის თემში ჯუმის ხიდთან და ს.ჯიხაშკარში მდინარე ტარჩიაზე სამუშაოების შესრულება ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაციისათვის.

2.3.7. 100,0 ათასი ლარი - მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0308)

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ–ნაწილების ფასების ზრდის გამო , მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. ტრანსპორტის ძირითადი აქტივების ხანგძლივად შენარჩუნების მიზნით სათანადო ნაწილებისა და აღჭურვილობის შეძენა და სხვა სახის დახმარებათა გაწევა.

2.3.8 845.3 ათასი ლარი – სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 0315)

პროგრამით გათვალისწინებულია ივნის–ივლისის თვეებში მომხდარი სტიქიის შედეგის სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებას.

2.3.9. 138.3 ათასი ლარი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რიგ სოფლებში წყალმომარაგების, ნაპირსამაგრების, ხიდების გზების რეაბილიტაცია მოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვების განხორციელებისათვის((პროგრამული კოდი 0316)

საქართველოს მთავრობის 2013წლის №380 განკარგულების შესაბამისად საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტიზო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხები სოფლების მიხედვით 138.3 ათასი ლარი, მათ შორის მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლის და კულტურის სახლის პროექტირება 23,9 ათასი ლარით.

2.3.10. 1804.4 ათასი ლარით ტერიტორიული ორგანოების მიხედვით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №25 დადგენილების, 2013 წლის 17 მაისის №466,26 აგვისტოს №1125 განკარგულების შესაბამისად ტერიტორიული ორგანოების მიხედვით განაწილებულია სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და დადგენილი კოეფიციენტის მიხედვით. /კოდი 0307/

	სოფლების დასახელება	სულ ჯამი	გზების მოხ რეშვა	ხიდ-ბოგირე ბის რეაბილი ტაცია	საბავშვო ბაღის შენობის რემონტი	საფეხ ბურთო სტადიონის მოწყობა	წყალმო მარაგე ბა ჭაბურ ღი ლის მოწყო ბა	გარე განა თება	სხვა დანარ ჩენი	მოსაც დელის რეაბილი ტაცია	მიწის ნაკვეთის შემო ღობვა	ობელის კები და მემორი ალი	სამელიო რაციო არხის, ჭის ამოწ მენდა	სანი აღვრე არხიმ მოწყობა
1	აბასთუმანი	42259	38200							2059	2000			



2	ანაკლია	49356	20759					3597		20000	5000		
3	ახალაბასთუმანი	57804	29400						8000	11500	1500		7404
4	ახალკახათი	35462	13014	20022						426			2000
5	ახალსოფელი	101510	87903	8607				5000					
6	განმუხური	45305	5000		23000							17305	
7	გრიგოლიში	17340	15340		1500						500		
8	დარჩელი	104721	22046			52515	5200	13000		8000		3960	
9	დიდინეძი	43485	17050	10500			14000		1935				
10	ერგეთა	38515	5342				33173						
11	ინგირი	109579	37110			24000				32857		1281	14331
12	კახათი	86755	26255	27000		21000		4500					8000
13	კოკი	55294	20653			18600		3488		8747			3806
14	კორცხელი	62123	28246	22877	11000								
15	ნარაზენი	73247	8584		15288		40490					8885	
16	ოდიში	75359	69359		4000		2000						
17	ორსანტია	64173	23200		16973					24000			
18	ორულუ	47531	3799				20000	3845					19887
19	ოქტომბერი	50775	22000	7986				20789					
20	ყელიშკარი	37325	20825	8000						6000			2500
21	რიყე	52379	18550	12075		1160	4794		9000		2800		4000
22	რუხი	113104	21235	47922			14500			19505			9942
23	ურთა	24612	3922			18400	2290						
24	შამგონა	45054	2047	8000		20000		4000					11007
25	ზხორია	107129	37429			20000	7000		3000	8000	21700		10000
26	ცაიში	78107	9700	26670			11000		3175		4065		23497
27	ჭაქვინჯი	38371	26419						4000		4197		3755



28 ჰკადუმი	36532	25758			2000		8774						
29 ჰითაწყარი	65384	10000		7000	20000		12784						15600
30 ჯიხაშკარი	45819	19636									22050	4133	
სულ;	1804409	688781	199659	78761	195675	156447	54622	37491	73580	116250	13760	49521	139862

2.3.11 2440.0 ათასი ლარი – საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 ივნისის №365 განკარგულებით შესული ცვლილებით გამოყოფილი სახსრები ყინულის მოედნის მშენებლობისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყინულის მოედნის კუპოლის ინსტალაციისათვის გამოეყო 150,0 ატასი ლარი.

3. 2317.6 ათასი ლარი - განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელება, სკოლის-გარეშე დაწესებულებათა თანადაფინანსება და ზოგადი განათლების ხელშეწყობა პროგრამის ძირითადი ამოცანებია.

3.1 1898.0 ათასი ლარი - სკოლამდელი აღზრდა-განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0401)

ითვალისწინებს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო პროგრამის დასაძლევად მოზარდების სათანადოდ , მომზადებას, არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ბაზის მოვლა-პატრონობას და რეაბილიტაციას. სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების მაღალ ხარისხს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 57 სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების ფინანსური უზრუნველყოფას. სკოლამდელი დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. საქართველოს მთავრობის 2013წლის 21 აგვისტოს №1099 განკარგულებით საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება სასწავლო აღმზრდელობითი სამსახურის და კვების მომსახურებისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გამოეყო 144,0 ატასი ლარი.

3.2. 136.0 ათასი ლარი - საჯარო სკოლების,წმინდა გიორგის სახ. გიმნაზიის და განათლების სხვა დაწესებულებების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0402)

პროგრამის მიზანია საჯარო სკოლების, განათლების სხვა დაწესებულებათა ფინანსური ხელშეწყობა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცება და სხვა საჭირო ხარჯების გამოყოფა. სასულიერო და საერო პირების თანამშრომლობა,მართლმადიდებლური სულისკვეთებით სწავლებისა და აღზრდის პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის და სხვა საჭირო პირობების შექმნის ხელშეწყობა.

3.3. 185.9 ათასი ლარი - სკოლისგარეშე საქმიანობა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე (პროგრამული კოდი 0403)

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული წრეების ფუნქციონირება , სასკოლო ოლიმპიადების, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, შემეცნებითი სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფის თანადაფინანსება.

3.4. 85.7 ათასი ლარი - სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა(მ.შორის ზედაეწერის კოლეჯის



სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვა, პროფესიონალი კადრების, სპეციალისტების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

3.5. 12.0 ათასი ლარი - განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0405)

განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად.

4. 4113.1 ათასი ლარი - კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0500)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

4.1. 1930.0 ათასი ლარი - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0501)

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ადგილობრივი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდა. სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარება, ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

4.1.1. 608.5 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ა.ა.ი.პ.,სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050101)

პროგრამების მიზანია სპორტის სხვადასხვა სფეროების წრეების ფუნქციონირებას, სასპორტო სკოლების,სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია. სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და რესპუბლიკის გარეთ.

4.1.2 . 170,0 ათასი ლარი - სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და მინი სპორტული მოედნების მშენებლობა (პროგრამული კოდი 050102)

მათ შორის 20,0 ათასი ლარი სპორტული ღონისძიებანი.

პროგრამით გათვალისწინებული ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენების და მწვრთნელების ოსტატობის დონის ამაღლება. მიღწეული წარმატებები, სპორტული სექციებისა და კლუბების გაზრდა. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. რეაბილიტაცია. მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და განვითარება, სპორტული შეჯიბრებების და მასში ჩართული ადამიანების თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდა, პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენა- შეჯიბრებებისა და მონაწილეთა რაოდენობა, ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება.

მინი სპორტული მოედნების მშენებლობა–150,0ათ.ლარი ქალაქად და სოფლებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.150,0ათასი ლარიდან სპორტული ღონისძიებებისათვის გამოყოფილია 100,0ათასი ლარი, ხოლო 50,0ათ.ლარი პროექტირებისათვის. პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სპორტული ღონისძიებები: ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე №2, №4 და №6 მაღალსართულიან სახლებს შორის სპორტული მოედნის



მოწყობა. ჰყონდიდელის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა, ზ. გამსახურდიას 28-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მოთხოვნით და აუცილებლობით ბიუჯეტში იქნას შეტანილი სპორტული მოედნების მშენებლობა სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოების შესრულება, კერძოდ: მანჯგალაძის ქუჩის ტერიტორიაზე ახალი მინი საფეხბურთო სპორტული მოედნის საპროექტო სამუშაოები, ძვ. აბასთუმანი, ხეცერის ტერიტორიაზე ახალი მინი საფეხბურთო სპორტული მოედნის საპროექტო სამუშაოები, ახალსოფელი, კოლხიდის (ჯუმის) ტერიტორიაზე ახალი მინი საფეხბურთო სპორტული მოედნის საპროექტო სამუშაოები, გორის ქუჩა №2 სახლის მიმდინარე ტერიტორიაზე ახალი მინი საფეხბურთო სპორტული მოედნის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ოდიშის ტერიტორიაზე ახალი მინი საფეხბურთო სპორტული მოედნის საპროექტო სამუშაოები, ფაიფურის დასახლების უბანში არსებული მოედნის (ორი ერთეული) სარეაბილიტაციო საპროექტო სამუშაოების შესრულება.

4.1.3. 1151.5 ათასი ლარი - ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

შ.პ.ს „საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი“, რომლის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანი სახეობის ფეხბურთის და ფეხბურთის გუნდის მომზადებას და განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გუნდის მონაწილეობას სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ტურნირებში

შ.პ.ს „საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი“-ზე გამოყოფილია 980.0 ათასი ლარი.

4.1.4. 171.5 ათასი ლარი - ა.ა.ი.პ „ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ სუბსიდირებისათვის (პროგრამული კოდი 050103)

აღნიშნული პროგრამა კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალგაზრდობის, ინტელექტუალურ, შემოქმედებით, სპორტულ და სხვა სფეროებში მუშაობას და ღონისძიებების ჩატარებას. უზრუნველყოფს ბავშვთა და მოზარდთა მომზადებას საფეხბურთო გუნდებისათვის, მატჩებში და ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

4.2.2 2136.1 ათასი ლარი - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0502)

კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა-აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება

